ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მ ე ს ტ ი ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135. 135230933**
თარიღი:**03/04/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით
დასაფინანსებელი
პროექტების მოწონების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების პირველი მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მოწონებულ იქნას, მესტიის მუნიციპალიტეტში, 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა დანართი №1 - ის შესაბამისად.
2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი რ. ლაღიძის ქ. №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი